სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 მაისი 2026

N 300/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ნკ ლოჯისტიქსი 2025“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2026 წლის 17,23 და 24 აპრილს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „ნკ ლოჯისტიქსი 2025“-მა და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობით:

ა) R-410A (HFC-32/ HFC-125) – 4 290 კგ;
ბ) 1,1,1,2-ტეტრაფთორეთანი (HFC-134a)- 5 960 კგ;
გ) R-407C (HFC-32/ HFC-125/ HFC-134a)- 2 145 კგ;
დ) R-427A (HFC-32/HFC-125/HFC-143a/HFC-134a)-1 130 კგ;

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ნკ ლოჯისტიქსი 2025“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 415118704) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობით:

   ა) R-410A (HFC-32/ HFC-125) – 4 290 კგ;

ბ) 1,1,1,2-ტეტრაფთორეთანი (HFC-134a)- 5 960 კგ;

გ) R-407C (HFC-32/ HFC-125/ HFC-134a)- 2 145 კგ;

დ) R-427A (HFC-32/HFC-125/HFC-143a/HFC-134a)-1 130 კგ;

2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით.

3. შპს „ნკ ლოჯისტიქსი 2025“-მა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნკ ლოჯისტიქსი 2025“-ს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/300-21-4-202605061803

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE